№ 73
აპრილის, 1, სამშაბათი 1903 წ.
1877

# ივერია

№ 73
აპრილის 1, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანი აპირველ აპრილიდან „ივერია" მოესპობა.

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია"
ჰღირს 8 მანეთი
გაზეთის „ივერიის" ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

კნეინა იულია ივანეს ასული ბარათაშვილისა შვილებითურთ და ივანე დავითის ძე სულხანიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცრობთ გარდაცვალებას პირველი საყვარელის დედისა და მეორე დისას

## კნ. ნატალია დავ. ასულის ციციშვილისას

და სთხოვენ მობრძანდნენ პანაშვიდზედ-კვირას, 30 მარტს, საღამოს 7 საათზედ, თ. ბარათაშვილის სახლში. აქედგან მიცვალებულს გაასვენებენ ტფილისის სადგურზედ, ორშაბათს, 31 მარტს დილის 11 საათზედ. დაკრძალვა მოხდება სამშაბათს, 1 აპრილს, ს. ქარელში, საგვარეულო ეკლესიაში. (2—79—2)

**უმთავრესი კანტორა-დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში** აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

## კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

**ღვინო ისყიდება:**

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ. № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.
კავკასიის ოფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—10)

## ს.-პეტერბურგის კომპანია „ნადეჟდა"

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

### დაარსებულია 1847 წელს.

**ძირითადი თანხა** . . . . . . . . . 1.650.000 მან.
**სათადარიგო თანხა** . . . . . . . . . 2.664,808 მან.

### I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შედავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

### II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში სავლელი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავდიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

### III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის **„ნადეჟდას"**-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო აგენი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო სასახლის ქუჩაზეა, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108. (120—6.—102).

### სია

ქართვ. შორის წ.-კითხვ. გამავრც. საზ. წევრთა, რომელთაც შემოიტანეს საწევრო ფული 20—27 მარტის განმავლობაში:

| №№ | სახელი და გვარი | მ. | კ. |
|---|---|---|---|
| 62 | გრიგ. ქურდიანი. . . . . | 6 | — |
| 63 | დეკ. ლუკა მაღრაძე . . . | 100 | — |
| 64 | ივ. კალაძე . . . . . . | 6 | — |
| 65 | ალექსანდრე პ. თუმანიშვილი. | 6 | — |
| 66 | გიორგი კ. ჯაფარიძე . . . | 6 | — |
| 67 | ალექ. პ. თუმანიშვილი. . . | 6 | — |
| 68 | გიორგი პ. თუმანიშვილი . . | 6 | — |
| 69 | კოსტან. პ. თუმანიშვილი. . | 6 | — |
| | | 142 | |

სულ მდგომ. წ. განმავლ. შემოტან. 509

ამ წლის მაისის თვეში ტფილისში გაიმართება **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ**

## სახალხო სეირნობა

**საქველ-მოქმედო ბაზარითურთ**

შემოწირულობათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულის ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21 და ქართველთა შორის წ.-კითხვის გამარცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა.

გამოვიდა და ისყიდება

## ლედი ჯენ

ჯემსონის მოთხრობა სურათებით

სააღდგომო საჩუქრით

ვარაყიანის ყდით 1 მ.

იყიდება ჯეჯილის რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში

ჯეჯილის რედაქციაშივე ისყიდება 1897, 98 და 99 წლების ჯეჯილი თითო წლისა ორ მანათად. (10—6—2)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ქართ. შორის წ. კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული

## რუსულ-ქართული ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა.

**ფასი ორი მანეთი და ორი აბაზი**

წიგნის გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც ამ ადრესით: Тифлисъ Общество распространенія грамотности (5—მ.—2)

გაიხსნა

## დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში.

(7—6.—2)

**კბილის ექიმი**

ივანე პავლეს ძე

## ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

## ვ. ლამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფის საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

**ქართველ ქალთა ამხანაგობის**

## სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

**მ. ზ. აპეტისიანცი.** 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**კ. ი. ზძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

**ზ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როსტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

**ნ. ს. ლუზეცკი** 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

**ზ. ა. თარხანოვი.** 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 ს.

**ს. ტ. არზანიტაკი.** 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**გედევანიშვილისა**

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**მ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

**ნ. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

**ვ. დ. ლამბაშიძე**—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

**კამოევი.**—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

**ა. მუსხელოვი:**—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. 11½—12½.

**ვ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

**ზრ. ვ. სოზოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

**ზ. მ. ამბარდანოვი**—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

**საღამოთი:**

**ა. ზ. მაღალაშვილი**—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

**მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

**ტფილისი, 1 აპრილი.**

ჩვენის სამეურნეო ბანკის გუშინდელს კრებაზედ სრულიად გამოირკვა ამ ბანკის ხელმძღვანელთა აზრი იმის შესახებ, თუ, რა დანიშნულება და მოვალეობა აქვს ნაკისრი ჩვენს ბანკს უკრედიტობით სულ-შეხუთულ ქართველობის წინაშე.

ბანკის გამგეობამ, ბ-ნ ვ. მიქელაძის პირით, გარკვევითა და გადაჭრით გამოსთქვა, რომ ჩვენი ბანკი ვერ უშველის და ვერ შეეწევა პროვინციას მაშინ, როცა იგი მოინდომებს თავის საკუთარის სასოფლო ბანკის, ანუ საკრედიტო ამხანაგობის დაარსებას, ვერ შეეწევა და ვერ უშველის, როცა სოფლის მეურნეთ უჭირთ ფული და უნდათ ესხით ხელი გაიმართონ და გირაოდ გვაძლევენ სხვა-და-სხვა გვარს ქირნახულსაო.

თელავში აგენტურა გვქონდა და იძულებულნი გავხდით, გაგვეუქმებინაო.

თუ იქ ვერ იხეირა აგენტურამ, სხვაგან რაღად დავაარსოთ, იქაც ვერ იხეირებსო.

ჩვენი ბანკი ვერ ეცდება, კრედიტის საქმე წინ წავიდეს სოფლადაო. კრედიტის საქმეს ვემსახურებით, ვიცით ეგ საქმე, მაგრამ რა ჩვენი ვალია, ვიზრუნოთ, რომ კრედიტის საქმემ ფეხი აიდგას სოფლადაო.

მართალია, ჩვენის ბანკის წესდებაში ჩართულია მთელი განყოფილება, რომ ჩვენ მოვალენი ვართ, სესხი ვაძლიოთ სოფლის მკვიდრს ქირნახულის დაგირავებით და ეგ ნაწილი წესდებისა სახელმწიფო ბანკის წესდებიდგან გადმოვსწერეთ, მაგრამ ამ მხრივ ჩვენ უძლურნი ვართ, ვაკეთოთ რამე, რადგან დაუძლეველი დაბრკოლებანი გვეღობება წინაო. ეგ დაბრკოლებანი თვით პროვინციის ცხოვრების მოუწყობლობაა, იურიდიულ წეს-წყობის შეუსაბამობაა და სხვა-და-სხვანიო.

წინადაც მითქვამს და ახლაც ვამბობ, მეცა და ჩემი ამხანაგებიც დავრწმუნდით, რომ შეუძლებელია, გაძლიერდეს ეგ ოპერაცია ჩვენი ბანკისაო...

როგორ? კაცი კრედიტის საქმეს სათავეში უდგეს, იცოდეს ეგ საქმე და ზრუნვა მის მოწყობისა და გაძლიერებისათვის სოფლად თავის ზნეობრივ მოვალეობად არ მიაჩნდეს? რომელი ბანკია, დაწყებული სახელმწიფო ბანკიდგან უკანასკნელ კერძო ბანკამდე, რომ არ ჰზრუნავდეს თავის ოპერაციების და საზოგადოდ კრედიტის საქმის მოწყობისა და გაძლიერებისათვის? ჩვენი ბანკიც, რომელიც ერთად-ერთი დაწესებულებაა მოკლე ვადიან კრედიტისათვის მთელს ტფილისის გუბერნიაში, მოვალეა იზრუნოს, რომ მცირე კრედიტის საქმე უკედ მოწესრიგდეს ჩვენს ქვეყანაში, ფართო სამოქმედო ასპარეზი გაიჩინოს და მუდამ მზად იყოს, მიეშველოს კანონიერის გზით ყველას, ვისაც-კი უჭირს კრედიტი თვისის საქმის გამოსაკეთებლად, მით უმეტეს მაშინ, როცა ბანკს გირაო ეძლევა, როცა ბანკი უზრუნველ-ყოფილია და თვით არაფერს დაჰკარგავს.

საკვირველია, სწორედ! წესდება გვავალებს, გავსცეთ სესხი ყოველგვარის ქირნახულის გირაოთი. ბანკს გაუცია კიდეც მაგნაირი სესხი შარშანაც და წინა წლებშიაც, მხოლოდ მცირედის რაოდენობისა. საზოგადო კრება, ეს ოთხი წელიწადია, სთხოვს თვის მიერ არჩეულს გამგეობას, უთუოდ ამ საქმეს ყურადღება მიაქციე, გააძლიერე ეგ ოპერაცია, მიეშველე სოფლის ხალხსაო. გამგეობა-კი უარს ამბობს. არ შეგვიძლიანო—non possumus.

როგორ? თუ-კი 6000 მან. სესხი გაეცით, ნუ თუ არ შეიძლებოდა 7, 8, 9 და 10 ათასისაც გაეცათ? თუ-კი ივანეს მიეცი სესხი გირაოთი, რატომ არ შეიძლებოდა პეტრესაც მისცემოდა? თუ სამხრეთ-რუსეთის ბანკმა მისცა, მაგალითად, გურიის ამხანაგობას „შუა-

მავალს“ 50,000 მანეთი სამის თვით და დაიგირავა ბევრად მეტის ღირებულობის ყაჰი, რატომ არ შეიძლებოდა ჩვენს ბანკს მიეცა?

ორში ერთი უნდა იყოს და ამ საქმეს, ასე თუ ისე, ბოლო უნდა მოეღოს: ან წესდება შეიცვალოს და მოისპოს ეგ ოპერაციები და მათ შესახებ ლაპარაკი კრებაზედ; ან გამგეობა, რომელიც ამბობს, მე მაგ საქმის გაძლიერება არ შემიძლიანო, უნდა სამსახურიდგან გადადგეს და ადგილი დაუთმოს იმათ, ვინც შესძლებს მაგ საქმის გაძღოლას.

# ტფილისი

◆ გუშინწინ, 30 მარტს, იყო წლიური კრება ტფილისის სამეურნეო საურთიერთო ნდობის საზოგადოების წევრთა კრებამ მოისმინა და დამტკიცა წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა, დაამტკიცა სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა, რომლის ძალითაც წლიური ხარჯი იმატებს 16,000 მანეთის მაგიერ 20,000 მანეთამდე, აირჩია ბ-ნ ი. ქუთათელაძის მოხსენების დაწვრილებით შემუშავებისათვის ცალკე კომისია და გადასდო 500 მან., როგორც მოხსენების ალსაბეჭდად და ისე სხვა ხარჯებისათვის, რომლის გაწევაც საჭირო იქნება კომისიის მიერ და დასასრულ დირექტორად აირჩია ისევ ვ. რ. ყიფიანი, ხოლო საბჭოს წევრებად ისევ: ნ. ხიზანაშვილი და გ. ლასხიშვილი და სარევიზიო კომისიის წევრებად: ექ. თაყაიშვილი, გ. ჟურული და ივ. ბარათაშვილი, მათ კანდიდატებად: ბ. ესაძე, ი. ალხაზიშვილი და გვამიჩავა.

◆ წერა-კითხვის საზოგადოებას გადაუწყვეტია დაიბეჭდოს სახალხო საკითხავად „ვეფხისტყაოსანი“. მისი შესწორება და რედაქცია მიუნდვია ბ-ნ დ. კარიჭაშვილისათვის.

◆ ჩვენ მოგვივიდა ოთხი პატარა წიგნაკი, გამოცემული ბ-ნ ს. მერკვილაძის მიერ: ვაჭრული ჭკუა, აკაკისა, დათუნა გოცირიძე და რაჭის ერისთავი როსტომ (ძველებური ამბავი), მისივე, აბრამისა და იობის ლექსი, ხალხურ სიტყვიერების ნაწარმოები და პატარა ჩონგური, რომელშიაც რამდენიმე პატარა ლექსია მოთავსებული ჩვენის სხვა-და-სხვა მგოსნისა. წინა ორი ამბავი ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი. წიგნაკები იაფ-ფასიანია, ხელმისაწდომი ხალხისათვის და სასარგებლო საკითხავი.

◆ უწმინდესის სინოდის გადაწყვეტილებით ტფილისის სასულიერო სასწავლებლის უფროსი ს. პაშკევიჩი გადაყვანილ იქმნა მოსკოვს.

◆ ცნობილს მილიონერს ა. ი. მანთაშევს შეუწირავს ეჩმიაძინის ტაძრის განსაახლებლად 150,000 მ.

◆ თებერვლის პირველ რიცხვებში კავკასიის სამრევლო სკოლების ეპარქიალურ ზედამხედველს მ. ვოსტორგოვს რევიზია მოუხდენია მცხეთის, სამთავის, ქვემო-ჭალის სამრევლო სკოლებში, და ქვემო-ჭალის სამრევლო სკოლა დაუკეტნია.

◆ ტელეგრამით გვატყობინებენ, რომ ბათუმის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიურ კრებაზედ დირექტორად ერთხმად აურჩევიათ ისევ თავ. ნიკ. ნაკაშიძე.

◆ სადღეისოდ დანიშნულია შეერთებული კრება ქალაქის გამგეობისა და ტრამვაის კომისიის ავჭალის ცხენის რკინის გზის შესყიდვის თაობაზედ.

◆ აპრილის დამლევს კავკასს მიელიან პეტერბურგიდგან ინჟინრებს, რომელთაც უნდა გამოიკვლიონ ოსეთში კავკასიის მთების ოქროს მადნები.

◆ ქ. ფოთში 27 მარტს, ნაშუადღევს, ცეცხლი მისჭიდებია ტფილისის მოქალაქის ტერ-შმოვანოვის შენობას. აქედან ცეცხლი გადასულა და მოსდებია იქვე მახლობელ სახლებსა და დუქნებს. ზარალი დიდია,—თითქმის 300 ათას მან. უდრის.

◆ ოთხშაბათს, 26 მარტს, ჭიათურაში თავ. ანემპ. მაჩაბლის თავმჯდომარეობით, მოხდა ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიური კრება. გამგეობის ხარჯთ-აღრიცხვა ერთხმად მიღებულ იქმნა.

◆ ამ რამდენიმე წლის წინად ალექსანდრე გულაშვილის ადგილზედ აუშენებია წყლის მილის შენობები ქალაქის გამგეობას და პირობის ძალით უნდა ეძლია გულაშვილისათვის ყოველ წელს ქირა. პირობისავე ძალით პარველ წლებში ე. ი. 1895—1897 წ. გულაშვილს მიუღია პირველში 75 მ., მეორეში 85 მ და მესამეში 125 მ. მას შემდეგ ქალაქის გამგეობას უარი განუცხადებია ქირის გადახდაზედ, და მამულიც დაუსაკუთრებია. ულონობისა გამო გულაშვილს დროებით შეუწყვეტია თხოვნა ქირის ფულზედ. ამ ორი კვირის წინად-კი მიუცია თხოვნა ქალაქის გამგეობისათვის, რომ უკანასკნელ რვა წლის ხვედრი ფული მიეცათ და მამულიც გაენთავისუფლებინათ სრულიად. მაგრამ ქალაქის გამგეობას ამაზედ უარი გამოუცხადებია. ახლა გულაშვილს მიუმართავს საჩივარით ოლქის სასამართლოსათვის.

◆ ჭიათურის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების წლიურ კრებაზედ აურჩევიათ საბჭოს წევრებად ბბ. ჯ. იაშვილი, ვლ. წერეთელი, ნ. წერეთელი. დირექტორი თ. კ. პ. თუმანიშვილი ისევ ერთხმად აურჩევიათ იმავ თანამდებობაზედ.

## საადგილ-მამულო ბანკისა და თ. ივ. ბარათაშვილის დავა.

ვინც თვალ-ყურს ადევნებს ჩვენი საადგილ მამულო ბანკის საქმეებს, იმას ეხსომება, რომ 1895 წელს, მაისის 20-ს, ბანკის წევრების საზოგადო კრებამ ერთხმად აირჩია გამგეობის წევრის, ანუ დირექტორის კანდიდატად გენერალ-მაიორი თავ. ივანე ბარათაშვილი.

მეორე წელიწადს, 1896 წ., დანარჩენ ორი დირექტორის კანდიდატებად კრებამ აირჩია თავ. ალ. ვახვახიშვილი და თავ. დიმ. ჩოლოყაშვილი; მხოლოდ ეს არჩევანი მოხდა არა ერთხმად, არამედ ხმის უმეტესობით—788 დამსწრეთაგან მათ მისცეს ხმა 749 წევრმა.

1897 წელს, როდესაც თავ. დავ. ავალიშვილი გამოვიდა გამგეობიდგან, გამგეობას ბჭობა ჰქონდა თუ რომელი კანდიდატი უნდა მიეწვია დირექტორის თანამდებობის აღსრულებისათვის. კანდიდატი სამი იყო: თავ. ბარათაშვილი, თავ. ვახვახიშვილი და თავ. ჩოლოყაშვილი.

გამგეობამ თავ. ალ. ვახვახიშვილის სასარგებლოდ გარდასწყვიტა ეს საკითხი იმ მიზეზით, რომ, თუმცა თავ. ბარათაშვილი საზოგადო კრებამ აირჩია ერთხმად, მაგრამ კრებას მაშინ დაესწრო მხოლოდ 466 წევრი, სამაგიეროდ, თავ. ვახვახიშვილი იყო არჩეული 749 ხმის უმეტესობით. მაშასადამე, გამგეობის აზრით, რადგანაც ვახვახიშვილისაგან მიღებულ ხმის რაოდენობა სჭარბობდა, ამიტომ ეს კანდიდატი უნდა ყოფილიყო მოწვეული დირექტორის თანამდებობის აღმასრულებლად.

თავ. ივ. ბარათაშვილმა 1898 წ., იანვრის 16, შეიტანა საჩივარი ბანკზედ ტფილისის ოლქის სასამართლოში და ითხოვა, სასამართლოს დაემტკიცებინა, რომ მხოლოდ მას, თავ. ბარათაშვილს, ჰქონდა კანონიერი უფლება თავ. ავალიშვილის თანამდებობის აღსრულებისა 1897 წლ. მკათათვის პირველიდგან, და ამით მიეცა მისათვის სამუალება ზარალი გადაეხდევინებინა ბანკისათვის.

ოლქის სასამართლომ მის სასარგებლოდ გარდასწყვიტა საქმე. ბანკმა სააპელაციო საჩივარი შეიტანა ტფილისის სამოსამართლო პალატაში.

პალატის განმარტებით ხმის რაოდენობაზედ მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი, რომ ყველა კანდიდატები ერთსა და იმავე საზოგადო კრებაზედ ყოფილიყვნენ ამორჩეულნი; ამ შემთხვევაში-კი, როდესაც კანდიდატები სხვა და-სხვა კრებამ აირჩია. პალატის აზრით, მხედველობაში უნდა მიღებულიყო მხოლოდ ის, თუ რომელი კანდიდატი უფრო ადრეა არჩეული.

ამიტომ პალატამ ყურადღება მიაქცია ბანკის რწმუნებულის, კერძო ვექილის გაბრიელ საყვარელიძისაგან წარდგენილ საბუთს, რომლითაც მტკიცდებოდა, რომ თავ. ვახვახიშვილი ჯერ ისევ 1894 წ., მარტის 25-ს, იყო არჩეული დირექტორის კანდიდატად და 1896 წელში ასრულებდა კიდეც გამგეობის წევრის თანამდებობას. ამისდა მიხედვით პალატამ უარი უთხრა მომჩივანს, თავ. ბარათაშვილს.

ამ უკანასკნელმა განასაჩივრა პალატის განაჩენი უმართებულესს სენატის საკასაციო სამოქალაქო დეპარტამენტში, რომელმაც ამ წლის 1 თებერვალს განიხილა ეს საქმე.

სენატი დაეთანხმა სამოსამართლო პალატის განმარტებას სხვა-და-სხვა საზოგადო კრებაზედ არჩეულ კანდიდატების მოწვევის შესახებ; მხოლოდ ბ-ნ საყვარელიძისაგან წარმოდგენილი საბუთი უარჰყო, რადგანაც თავ. ვახვახიშვილს, კანდიდატად არჩეულს 1894 წლის მარტში ვადა გასვლია 1897 წ. მარტშივე, რადგანაც ბანკის წესდების ძალით დირექტორის კანდიდატი ირჩევა იმავე ვადით, რა ვადითაც თვით გამგეობის წევრი, ე. ი. სამის წლით. მაშასადამე, 1897 წელს ივლისში, როდესაც აღიძრა კითხვა თავ. ავალიშვილის მაგიერად კანდიდატის მოწვევაზედ, მაშინ თავ. ვახვახიშვილს ვადა გასული ჰქონდა და ამ გვარად უპირატესობა გამგეობას ივ. ბარათაშვილისთვის უნდა მიეცა, რაკი თავ. ბარათაშვილი იყო არჩეული 1895 წ. მაისის 20-ში; ხოლო თავ. ვახვახიშვილი წინანდელი არჩევნის ვადის გასვლის გამო ხელ-ახლად არჩეულ იქმნა 1896 წელს. ამის გამო, რადგანაც პალატამ თავის განაჩენი ვერ დაასაბუთა ვერც ბანკის წესდებით, ვერც სხვა კანონით, სენატმა ეს განაჩენი დაარღვია. საქმე წესისამებრ ხელ-ახლად გაირჩევა ტფილისში სამოსამართლო პალატაში.

F.

## მეფე ერეკლე და მისი წერილები.

IX

(შემდეგი *)

ყანდაარისაკენ ქართველთა მგზავრობას თუ რა საშინელი გაჭირვება და ფათერაკი სდევდა თან, თუ რა ქარ-ცეცხლში იყვნენ ჩაცვივნულნი, მაგრამ რა თავგამოდებით გაიფიცნენ ერთმანეთის საერთგულოთ,—ყველა ამას დაწვრილებით მოგვითხრობს გვირგვინოსანი მეფე თეიმურაზი შემდეგს წყალობის წიგნში.

№ 39. „ქ. წყალობითა ღვთისათა ჩვენ ღვთივ ზეცით გვირგვინოსანმან იესიან პანკრატოანმან საქართველოს მეფემან პატრონმან თეიმურაზ და თანამეცხედრემან ჩვენმან დედოფალთ დედოფალმან თამარ, პირმშომან და სასურველმან ძმან ჩვენმან ბატონიშვილმა ერეკლემ ესე წყალობის წიგნი და ნიშანი დაგიწერეთ და მოგიბოძეთ სამღთოსა ჩვენდა ბრძანებულისა წესთაებრ კეთილ მოსისა და სახიერისა მსგავსად მრავალსა ზედა დადგინებისა პატივითა, რომელმა მსახურებასა შინა ჩვენსა იტვირთე სიცხე მზისა და სიმძიმე ღამისა და მუშაკისაებრ სასყიდელისა ღირსისა ჩვენცა მოწყალებანი ერთგულთათვის მიუხვებულნი სიგლითა დაგიმტკიცეთ თქვენ მრავალფერად თავდადებულს და ჩვენსა სამსახურსა შინა ნიადაგ მზად მყოფსა და ერთგულება დაჯერებულს ყმათ გურგენიძეს და ჩვენს არმის ქიზიკალაბაშ ბეჟან ბეგის შვილს სოლომონს, შვილსა შენსა გიორგის და შვილიშვილსა შენსა სიმონს და მომავალთა სახლისა თქვენისათა ყოველთავე ამად, რომე როდეს ნადირშამა ერანი დაიჭირა, მაშინ აქ მობრძანდა, ჩვენს ძმისწულს ალექსანდრეს ქართველთ ბატონობა უბოძა, ჩვენც ბევრი ძალიანი სამსახური დავსდევით: ლეკი და ურუმი გაერთდნენ, ახალციხის ყსუფ-ფაშა ქართლში ბატონობდა, ყარაღაჯის ციხე ეჭირა, დიდის ჯარით და თოფხანით გამოვიდა კახეთზედ, ჩვენის მაჰმად-ყულიხანის სიკვდილიც და დარბაისელთ და ეპისკოპოსთ ამოწყვეტაც [1]) თავსედვათ მუხთლობით,—ღვთის მოწყალებით დედოფლის წყალზე დავესხენით, ქალაქამდის ვდიევთ, ბევრი ამ გვარი სამსახურები გავსწიევთ, მაგრამ არ დაგვინდო: გორს დაგვიჭირეს ჩვენ და ქართველნი ბარძიმ ერისთავი, ამილახვარი გივი და თარხანი. ყეენი ისპაანს ბძანდებოდა, წაგვასხეს ტუსაღათ, შენ თავდადებით დაუპატიჟათ გვიახელ, გზეგზედ კარგად გვმსახურე. მერე ყეენმა ისპაანს წყალობა გვიყო, კარგად შეგვიწყნარა, მაგრამ, ყანდაარზედ გაილაშქრა, ჩვენ თან წაგვასხა, ვინც გვეროთ გვახლდნენ დიდათ შეწუხდნენ და თხოვნა შექნეს: მე ყველა თავისუფლათ გავხადე, წამოყოლის ნება მივეც. მაშინ შენ და პაატას ტუსიშვილს პირობა გქონდათ, თავგადადებით გარდმოგვყევით ისპაანიდამ მანამ ყანდაარს ჩავიდოდით, გზაზედ მრავალი განსაცდელები გადაგვხვდა და ომიც: მირ-ეიზის [2]) შვილი ყეენი თავს დაგვესხა ორმოცის ათასის კაცით ღამით, მაშინ კარგათ გაისარჯე, სანგარზედ ყეენის ყულებთან (მხლებლები) დასწრებოდი, ცხენიც მოგვეკლა. ყულებს მოეხსენებინა ყეენისათვის: თეიმურაზ ხანის ყულები ჩვენთან დაესწრნენო და კარგათ გაისარჯნენო. ებრძანებინა—გურჯებს (ქართველებს) ამისთანაში არა რცხვენიანთო. მეორეს დღეს მადლიერობა ებძანათ. მივედით ყანდაარს, შემოებნენ, დიდხანს ომი იყო; ვინც ქართველნი გვახლდნენ, ან კახნი კარგა იყვნენ, მირეიზი კიდეც დაამარცხეს, ყანდაარი მოასირი გახდა (გარს ალყა შემოარტყესო). მერმე ჩვენი შვილი ერეკლე დაიბარა, ჩამოიყვანეს. ექვსი თვე მოასირი იყო, ყანდაარი იერიშით აიღო. შენ ციხეში გადახველ, იქაც კარგად იყავ. ჩვენ დიდის პატივით და წყალობით ვყვანდით. მერე ინდოეთისაკენ და ჩვენ მურახასი (დაგვითხოვაო) გვიყო, აქათ გამოგვისტუმრა. ჩვენი შვილი ერეკლე თან წაიყვანა. გაყრის დღეს დიდი მწუხარება შეგვექნა, თვისთან შეზდილნი ყმანი დაეთხოვნენ და წამოვიდნენ, შენც ჩვენთანვე წამოგიყვანეთ. ბატონიშვილის გაყრისთვის დიდათ შეწუხებული ვიყავით ბატონ-ყმიანათ: არც მოენე ყვანდა რომ პარსული სცოდნოდა. ჩვენს უდასტუროთ წახველ და გზაზედ მოეწიე და თან იახელ ინდოეთში. მრავალი განსაცდელი გარდაგხვდოდათ, დიდრონი ომი გზაზედ ტახტის სიახლოეს შაჰჯაჰანაბათს ინდოეთ მეფე შემობმოდა, დილით სადამომდი ომი ყოფილიყო, ნადირშას გამარჯვებოდა, ინდონი ოცი ათასი მეტი მომკვდარიყო, ინდოთ მეფე მაჰმად-შაჰ სანგრიდამ გამოეყვანა, მიბძანდა და შაჰჯანაბათის (დელი) ქალაქი აიღო, ინდოეთს თვითონ მეფედ დაჯდა. მას უკან დაბრუნდა და სინდეთი დაიჭირა და სინდეთ მეფეც შეიპყრა და ისევ ყანდაარს მობძანდა. თითონ ჩინეთისაკენ წაბძანდა, ბატონიშვილი აქეთ გამოესტუმრებინა ჩვენკენ, მოხვედით მშვიდობით, ალავერდს შეივიყარენით: ნახეთ ჩვენი და დედოფლის რა სიხარული იქნებოდა! მაშინ დაგვეაჯენით და ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და ესოდენისა ჩვენზე თავგანწირვით ერთგულობით სამსახური მოვიხსენეთ და წყალობისა თვალითა მოგხედენით და შეგიწყალეთ და გიბოძეთ თელავის მაზრის ტარუღობა. მერმე ნადირშა დაღისტნიდამ მობრუნდა და კარგათ ვემსახურენით და მივეგებენით და ქართველთ ბატონობა გვიბოძა. მაშინ ძველადგანაც ჩვენ მამა-პაპათაგან დიდების მოურაობის წყალობა გჭირებოდათ. ჩვენც იმ რიგით დიდების მოურაობა გიბოძეთ, როგორათაც ძველს სიგელში გეწეროსთ. და რადგან მაშინ კიდევ ყანდაარს გვასახელე, იქავ ნადარბაიში ქიზიყის ქალანთრობა გიბოძეთ და წყალობა გიყავით. გქონდეს და გიბედნიეროსთ ღმერთმა ჩვენსა ერთგულად სამსახურსა შინა. არაოდეს მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა ჩვენთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. და რომელნიცა ღვთის მოყვარენი მეფენი, კეთილ-მორწმუნენი დედოფალნი, კეთილად მობილნი ძენი და ასულნი ჩვენსა შემდგომად ბძანდებოდეთ, ნუვე მოუშლით და მწყალობელ იყვენით, რათაცა თქვენიცა გაგებული ღმერთმან კეთილ უმჯობესად განაგოს. აწე გიბძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო და სხვანო მოსაქმენო, ბძანება და ნიშანი ესე ჩვენი თქვენც ესრედ დაუმტკიცეთ. დაიწერაბძანება და ნიშანი ესე ხელითა ხელოსნის მხატვრის გრიგოლ მღვდლის დეკანოზის ძის ალექსის დეკანოზისათა (ანჩისხატისა), ქრისტეს განხორციელებიდგან ჩღმ, ქკ̃ს უკტ (=1740 წ.) [მეფე თეიმურაზ.]

გვერდზედ აწერია: „ქ. ჩვენ ყოვლისა ზემოჲსა საქართველოსა მპყრობელმან, მეფეთმეფემან ერეკლე ესრეთ განვაწესეთ, რომელ რანიცა კახეთს ანუ მამულნი და ანუ სახელონი უპყრიან ამათ ბოძებულნი ჩვენგან, ესე ყოველი სოლომონს და მისსა შვილსა დარჩეს, და რაც ქართლში მამული თუ სახელო და დიდების მოურაობა ჰქონდესთ, ესე ყოველი ბარამს და მის ძმას დარჩეს. ქრისტეშობის. ჯ. ქრისტეს აქეთ ჩღცდ“. [მეფე ერეკლე]

№ 40. „ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან პანკრატოვანმან მეფეთ მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან თეიმურაზ და თანა მემცხედრემან ჩვენმან საქართველოს მეფის ასულმან დედოფალთ დედოფალმან პატრონმან თამარ და სასურველმან ძმან ჩვენმან ბატონიშვილმან პატრონმან ერეკლე და ძმის წულმან ჩვენმან ასანმირზამ ესე ამიერით უკუნისამდე ჟამთა და ხანთა გასათავებელი წყალობის წიგნი და სიგელი ესე შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენსა ერთგულსა და მრავალ გვარად თავდადებით დიდად ნამსახურს ყმათა ჩვენთა ავალიშვილს ნაზირს დავითს, მილახვარს ასლანს და ძმასა შენსა დემეტრეს და შვილთა თქვენთა გიორგის, ქაიხოსროს და არსენს და ყოველთავე მომავალთა სახლისა შენისათა ასრე და ამა პირსა ზედან. რომე ძველადგან დიდად ნამსახურნი და ჭირნანახნი იყვენით, მრავალგან გაჭირებასა და ერთგულობაში მამაპაპათ თანახლებოდით. ახლაც ჩვენს შვილს ერეკლეს ასლან მილახვარი ინდოეთს შაჰჯაჰანაბადთან ხლებოდა, მრავალი ჭირი და გაჭირვება გარდაეხადნა და კიდევ სინდეთსაც დიდს გაჭირვებაში თან ახლდა ერთგულად ჩვენს შვილს. ოდეს ღმერთმა ხელი მოუმართა, იქიდამ დიდს ხელმწიფეს შაჰნშას მურახასი მიეცა და მშვიდობით ბატონყმანი მოხვედით, მრავალი სამსახური და ერთგულობა გარდაგეხადათ. უწინდელი პაპის ჩვენის ძველი წიგნი, კურთხეულის მამის ჩვენის წიგნიც ხელთ გქონდათ, ჩვენის ძმისა მეფის იმამყულიხანისა და ჩვენგანაც წიგნი გეჭირა ხელში და ხელახლად წიგნითა ამით გაგიახლეთ ამ შენის სამსახურის სანუფქოდ ჩუმლაჲს ჩვენი სახასო გლეხები და რაც იყოს შენი და უშენი თავისის მიწა-წყლით, მთითა და ბარით, შესავლითა და გასავლითა—წყალობა გვიქნია და გვიბოძებია თქვენს საყმოდ, როგორათაც ძველს წიგნში გეწეროს იმავე რიგითა ყოვლის კაცის უცილებლად. გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულებასა და სამსახურსა შიგან, არ მოგეშალოს ჩვენგან და არცა შემდგომთა მეფეთა და მეპატრონეთაგან. აწე გიბრძანებთ კარისა ჩვენისა ვექილ-ვეზირნო, თქვენც გაუთავეთ და ნუ მოუშლით, რა რიგათაც ფარმანსა ამას შიგან ეწეროს. დაიწერა ბრძანება და ნიშანი ესე ენკენისთვის, კბ. ხელითა ზურაბ მდივნისათა, ქკ̃ს უკტ (=1740 წ.) [მეფე თეიმურაზ.] [თამარ] [ერეკლე] [თათრული.]

ამ წყალობის წიგნს თეიმურაზ მეფემ შემდეგი ბრძანებაც მიაყოლა ზედ: № 41. „ქ. ჩვენი ბძანება არის მორდალოვ პაატავ! ჩუმლაყი ჩვენი სახასო ხელი აუმართე დავით ნაზირსა და ასლანს, ბატონიშვილის მილახვარს მიაბარე, როგორც უწინ სჭეროდეს იმ გზით. ქკ̃ს უკტ“ (=1740 წ.) [თეიმურაზ.]

№ 42. „ქ. სახელითა ღვთისათა ჩვენ იესიან, დავით.. საქართველოს მეფეთ ცხებულის თეიმურაზის ძმან კახთ მეფეთ მეფემან და თვით კელმწიფემან პატრონმან ჰერაკლემ და თანა მემცხედრემან ჩვენმან დადიანის ასულმან დედოფალთ-დედოფალმან პატრონმან დარეჯან და პირმშომან და სასურველმან ძმან ჩვენმან ორთავე საქართველოს უფლისწულმან ბატონისშვილმან პატრონმან ვახტანგ და გიორგიმ ესე ჟამთა და ხანთა გასათავებელი მამულის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულს და ჩვენს სამსახურზედ მრავალ-ფერად გარჯილს და ნამსახურს ვაჩნაძეს ასლანს და ძმისწულსა შენსა ფარსადანს შვილსა თქვენსა ყაფლანს, და შვილის შვილსა შენსა ლუარსაბს ასე და ამა პირსა ზედან, მოხვედით კარსა დარბაზისა ჩვენისასა და შენის ბიძაშვილის გიორგის განაყოფის ამოწყვეტილის სპანდიარის შვილის გიორგის ნაქონს მამულს გვიაჯენით: ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქვენი და რადგან თქვენის ოჯახიდგან განაყარი იყო და სახლის კაცი, ისევე მისი ნაქონი მამული კოლაკი სოფელი და ჩალაუბანი მისი წილი გლეხებით, ზვრით მარნით, ხოდაბუნებით, მთით, ბარით, წყლით, წისქვილით, შესავლით გასავლით, და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრით გვიბოძებია თქვენის ნამსახურობის სანუფქოდ. ჩვენს ერთგულობაზედ ჩვენს მამაპათ წინ ბევრნი დახოცვილხართ და ერთი შენი შვილიც ოთარი ჩვენს ბიძაშვილს (ალექსანდრეს) ახლდა ინდოეთის საფარში და იქ მოგიკვდა, შენი ძმისწული ფარსადანც იქ გახლდა ინდოეთს და სინდეთის ომებში და ბევრჯელ ჩვენს წინ კარგათ გაისარჯა და ახლაც ჩვენი ერთგული და სამსახურის მომჭირნენი ხართ და ამ ნამსახურობისათვის და ერთგულობის სანუფქოდ გიბოძეთ შენისავ ბიძაშვილის გიორგის მამული ყოვლის კაცის უცილებმოუდევრად, ქონდეს და გიბედნიეროს ღმერთმან ჩვენს ერთგულობაში და სამსახურში..“ (და სხვ. ჩვეულებრ) დაიწერა ინდიკტიონსა მეფობისა ჩვენისასა წელსა მეათესა, თვესა დეკემბერსა, ა. ხელითა ქავზულიძის მდივნის ოთარისათა, ქკ̃ს ულთ“ (=1751 წ.)

მღ. პ. კარბელაშვილი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 69.

[1]) 1729 წ. ბეჟანბაღზედ ოსმალებმა მოჰკლეს მეფე კახეთისა მაჰმადყულიხანი, ალავერდის მთავარეპისკოპოზი ნიკოლოზ ჩოლაყაშვილი და სხ. თ ვად-აზნაურნი, და მათი თავები სულთანს გაუგზავნეს სტამ ოლში.

[2]) მირვეისი ავღანისტანის მბრძანებელი იყო, ამან მოკლა მეფე გიორგი ვახტანგის ძე 1709 წ. ღალატით

## მარტოოდენ შთაბეჭდილებანი.

(სახოფლო-სამეურნეო ბანკის საზოგადო კრება).

რას იზავთ, ბატონო, საზოგადო საქმეს მსხვერპლი უნდა და სწორედ ამიტომ და მარტო ამიტომ ინება თ. მ. გრუზინსკიმ თავმჯდომარეობა,—სწორედ ამიტომ, თორემ განა თითონ-კი არ მოეხსენება, რომ შეიძლება კაცი ბანკის დირექტორადაც ითვლებოდეს, და საზოგადო კრების ბჭობას-კი ვერ გაუძღვეს?

რომ გენახათ, რა საუცხოვოდ დაიწყო ბ. თავმჯდომარემ!

— ბატონებო, ანგარიშს ამტკიცებთ? დაეკითხა იგი კრებას.

— ვამტკიცებთ.

— მაშ ანგარიშთან ერთად მოხსენებაც დამტკიცებულია, დაასკვნა ბ. თავმჯდომარემ.

— მოგების განაწილება, ბატონო?

— უკვე დამტკიცებულია. მე ნებას არ გაძლევთ დამტკიცებულს დაუბრუნდეთ!

კიდევაც მრავალს უნარს გამოიჩენდა, მაგრამ რომ აღარ დააცალა თ. მიქელაძემ. ტყუილად-კი არა სთქვა ბ-ნმა ქუთათელაძემ, რაც არის სულ თ. მიქელაძეა, და სხვანი ყველანი... ისე რაღა, იმის დავესკა არიანო (მაპატიეთ აკაკის სიტყვა!) შეიბნენ, ბატონო ქუთათელაძე და მიქელაძე და თავმჯდომარე ვიღას ახსოვდა?!

ბ-ნმა ქუთათელაძემ სულ ახალ-ახალი თეორიები აუწყა კრებას, იმისთანა ახალი, რომ თვით ქრისტეფორე კოლუმბიც-კი ფას იმასთან! ჯერ ჩამოთვალა რომელ მაზრაში რამდენი მოდის პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, სისირი, ცულისპირა, ღომი, ღვინო, არაყი და სხ. და სხ. დაწვრილებით ჩამონუსხა და მილიონებად დაფასა. მერე დაგვიხატა ფულის საჭიროება მეურნეთათვის, სარგებლის სიძვირე ჩ ჩარჩებისა მევახშეების ოინები. მოჰყვა მერმე და სასოფლო ბანკების საჭიროება

და სარგებლობა ავეიხსნა და აიყვია ჩვენი მიყრუებული, ღვთის და კაცისაგან მივიწყებული სოფელი. თქვენ არ იცოდით, ბატონებო, რა სარგებლობა მოაქვს სოფელში ბანკს და [illegible] ჭეშმარიტებას, [illegible] უმრავლესობის ტვინში, [illegible] ამ ახალს ჭეშმარიტებას... თქვენ რომ ვერ შეაჩნიათ [illegible], რა საკვირველია, როდესაც თითონ მიქელაძეს ვერ შევაგნებინე, და მიქელაძემ, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენი ბანკის საქმე.. [illegible] მაგრამ მაინც იცის. [illegible] ამას წინად სამეურნეო [illegible] მოხსენება [illegible] წაიკითხა... [illegible]

კიდევ ბევრი საქმე და სულ ბოლოს აადინა თ. მიქელაძეს! მაგრამ არც ის ჩამორჩა, ღვთის წინაშე! — მაგან, ბატონო, ქუთათელაძეა ვინცხა, რაც მოგახსენაო, სულ კალენდარში ამოკრებილი ცნობები მოგახსენათ. დიდი რამ-კი არ გეგონოთ! ნუ გეწყინებათ: თქვენ სხვა-და სხვა საქმეს ადგეხართ და კარგადაც გეცოდინებათ თქვენი საქმეები; ჩვენ ბანკის საქმეს ვადგევართ და ზედ მიწევნით ვიცით ჩვენი საქმე; მაშასადამე, რასაც მოგახსენებთ, უეჭვო ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. მაგან, ბატონო, კალენდრიდგან ამოკრიბა თავისი ცნობანი და მე კი „ვესტნიკ ევროპი"-ს მაისის წიგნიდგან...

მოჰყვა თ-დი მიქელაძე და ვრცლად დაუხატა კრებას, რა არის „ვესტნიკ ევროპი", რა მიმართულებისა, რა ღირსებისა, რა მნიშვნელობისა ..

ბევრი უყვირეს:

— ვიცით, ბატონო, ვიცით!

— აჰ, თქვენ რაღა გეცოდინებათ! *)

— დიაღ, მაისის წიგნში იყო, განაგრძო თ. მიქელაძემ, კატაევის სტატია... უნდოდა ახლა კატაევის ბიოგრაფია და ლიტერატურული მნიშვნელობა მოეხსენებინა კრებისთვის, მაგრამ გვიბრალა ღმერთმა და შემოაკლდა საფანელი.

— განა ჩვენ არ გაგვეგება, ბატონო, სოფელში ბანკის მადლიანი მნიშვნელობა? ვიცით, ბატონო, ქუთათელაძევ, ვიცით! თქვენი ოსტატი ჩემი შეგირდი იყო! ვიცით და ვიცოდით, მაგრამ ჩვენ რა შუაში ვართ? დააარსეთ, ბატონო, ჩვენგან რა გინდათ?! იქნება გნებავთ, რომ ჩვენ მივცეთ ფული და ჩვენი ფულით, იქ სადღაც სოფელში ფულს იგებდნენ? არა, ბატონო, ფული იყოს, თორემ აქ, ქალაქშიც ბევრია მსურველი. არ ვიცი და არც სადმე წამიკითხავს, რომ რომელსამე ბანკს სხვისთვის მიეცეს ფული საწარმოებლად. ან გიჟი არ იქნება, რომ მისცეს! ყველა თავისთვის ცდილობს, ყველა თავის საქმის წარმოებისა და მეტის მოგების ჩაჩხრიალებისთვის ზრუნავს და არა სადღაც ჯანდაბას გადაკარგულ სოფლისა და ველში და ვაზში ჩამხრჩვალის მეურნესათვის. მართალია, ჩვენს ბანკს სასოფლო-სამეურნეო ბანკის სახელი ეწოდება, მაგრამ აკი მოგახსენებთ, ფულს აქაც კარგი მაზანდა აქვს და სწორედ შეშლილს დაგვიძახებენ, რომ სოფელში წიალი დავიწყოთ და აუტკივარი თავი ავიტკივოთ. თავს კი უთუოდ ავიტკივებთ, რადგან თითონ მინისტრი ბრძანებს, გესმით, ბატონებო, თითონ მინისტრი— სოფელს თავი დაანებეთ, თორემ შაკიკი შეგეყრებათო...

ძალიან ბრძოლა იყო, ძალიან! ჯობნითკი—ვერავინ იტყვის—მაშვმა აჯობა, თუ კაკაბმა.

მაგრამ თუ ჯობნაზედ მივარდა, მგონი ისევ თავმჯდომარემ აჯობა: იჯდა და ვინ იცის—რას ოცნებობდა იმ დროს, როდესაც ჩვენი დაბერებული რობესპიერი გაცხარებულ სჯაში იყო, თუ ვინ უფრო მეტი მათრახი (რუსულად შპილკა ყოფილა) დაადჰკრა, ბ. ქუთათელაძემ, თუ თ. მიქელაძემ?

Intransigeant.

## ჩვენებური ამბები

**გურჯაანი** (სიღნაღის მაზრა). ჩვენსკენ ქურდობა-ყაჩაღობას ბოლო ვერ მოეღო.

მოსავალს პირი კარგი უჩანს, თუ შარშანდელივით ბოლოს ყინვებმა არ ჩაგვამწარა ჩვენი აფთიაქის საქმე ცუდად არის: ხან დახურულია, ხან ღია. ასეთ წყალებაში გახლავთ გურჯაანის აფთიაქი, მაგრამ ამისთანა აფთიაქის ქონას, ისევ უქონლობა სჯობიან, რადგან ერთ რეცეპტს ვერ შეგისრულებს, თუ ბაკურციხეში, ან სიღნაღში კაცი არ აფრინეს და იქიდამ საჭირო წამლები არ ჩამოატანინეს. ხომ მოგეხსენებათ მგელის არაკი: მამაჩემი ხარაზი იყო და მე ნალბანდობას რა მოვჯიდაო. სად მასწავლებელი და სად მეაფთიაქე.

ვ.

*) იქნება ეგონა, კლასში ვარ და მოთხე კლასელი გამოჭიმულა ჩემს წინაშეო!

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა.

## რუსეთი

ქალ. კოვნოში თავს დაესხნენ მცხოვრებნი კათოლიკენი ადგილობრივ თავის ეკლესიას და კინაღამ არ გადახეს ერთი მღვდელი—კსენძი. ხალხი იმ გარამოებამ აღელვა, რომ ქ. კოვნოს რომაელ-კათოლიკე ეპისკოპოსმა გაჰყო თავისი სამწყსო და მხოლოდ განათლებულ პირთ დაურიგა ეკლესიაში შესასვლელი ბილეთები სამი დღის ვადით: 17 18 და 19 მარტისათვის. ეს უცნაური განკარგულება იმ განზრახვით მოახდინა ეპისკოპოსმა, რომ მაზიარებელ ინტელიგენტებისათვის მოეშორებინა უბრალო ხალხი· ამ ნაირად ბევრი ხალხი დარჩა ეკლესიის გარედ. მარტის 18-ს ამ ხალხმა მოიყარა თავი კათოლიკეთა საკათედრო ტაძრის წინ და უნდა ძალით შესულიყო შიგ. რომ ვერა მოახერხა რა, დაიწყო ქვების სროლა ეკლესიის ფანჯრებში. ეკლესიის მსახურნი გაერივნენ ხალხში და უნდოდათ დაეჭირათ ქვების მსროლელნი. ხალხი მალე დაიშალა; ამ დროს მეორე ბრბომ ალყა შემოარტყა კათოლიკეთა მღვდლის, კსენძის სახლს, კსენძის ჩაქოლვა უნდოდა, მაგრამ ვერ მიაღწია საწადელს.

— ქ. პეტერბურგში სამეურნეო კრებამ მოიწონა სამიწად-მოქმედო სამინისტროს განზრახვა, კავკასიაში სპეციალური სკოლის დაარსების შესახებ, სადაც უნდა ასწავლონ წველა-დღვება შვეიცარიული მეთოდით.

—

ქ. ელისავეტგრადის სასამართლომ გაარჩია 27 საქმე მწვალებელ შტუნდისტების შესახებ. პოლიციამ სასამართლოში მისცა იგინი ბრალდებდა მათ კანონისაგან აკრძალულ ყრილობის გამართვის თავის სახლებში სალოცავად. კარ-კარ დადიოდნენ პოლიციელები შტუნდისტების სოფლებში და სადაც რამდენიმე კაცს ნახავდნენ ერთ სახლში თავ-მოყრილს, პროტოკოლებს ადგენდნენ, შეუსწორით ლოცვის დროსაო. შტუნდისტები არ ეწინააღმდეგებოდნენ პოლიციელებს და ხმაამოუღებლივ ბრუნდებოდნენ თავ-თავიანთ ბინაზე. პოლიციელებმა საქმე შეუყენეს ყველას და საერობო უფროსს გადასცეს, რომელმაც ყველა შტუნდისტებს ჯარიმა მიუსაჯა 3—30 მანეთამდის. ამ გლეხთა დამცველნი ამტკიცებდნენ, რომ ბრალდებულთ არაფერი დანაშაული არ ჩაუდენიათ. არ შეიძლება, შტუნდისტებად იქმნენ ისინი ცნობილნი, რადგან, სენატის განმარტებით, უნდა დამტკიცდეს, რომ მათი მოძღვრება სახელმწიფო წესწყობილების წინააღმდეგია, რომ მათ არა სწამთ საკუთრება, არ ემორჩილებიან მთავრობას და სხ. ბრალდებულნი-კი იხდიან თავის დროზე გარდასახადს და სამხედრო ბეგარას, არ ეურჩებიან მთავრობას, წყნარი და მშვიდობიანი ხალხია.

სასამართლომ გაამართლა ყველა ბრალდებულნი.

## უცხოეთი

**შეერთებული შტატები**,— „როგორც გვწყიათო—სწერს გაზ. „N. U. Trib"-ი, გერმანიის იმპერატორმა ვილჰელმმა შეერთებულ შტატებს ძღვნად გამოუგზავნა ფრიდრიხ დიდის ქანდაკება, რომელსაც მომავალს წელს ვაშინგტონში აღმართავენ. სამაგიეროდ, არც შეერთებული შტატები დაუხვდა ხელ-ცარიელი გერმანიის იმპერატორს: გადასწყვიტა უძღვნას გერმანიას სენატორ მონროეს (!) ქანდაკება. ამ ნაირად ძლევამოსილს და ქვეყნების მპყრობელ იმპერატორის დიდებულს სახელს ამერიკელებმა დაუპირდაპირეს ხსოვნა იმ კაცის, რომელიც ამბობდა: „ამერიკა მხოლოდ ამერიკელთათვისააო".

**ოსმალეთი**. პორტამ გადასცა რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთის წარმომადგენელთ დაწვრილებითი ცნობა კარაბინცას მახლობლად მეამბოხეებთან მომხდარ შეტაკების შესახებ. ამ ცნობით, ბულგართათვის მოუკლავთ 23, დაუჭრიათ 3 და დაუტყვევებიათ ორი კაცი. ოსმალებისა, ვითომ, მხოლოდ სამი მოუკლავთ და ერთიც დაუჭრიათ. ბრძოლის დროს მეამბოხენი ოსმალებს უმბარებს ესროდნენო. როგორც ბრძოლის ველზედ ნაპოვნ ქაღალდებიდან სჩანს, ამ ჯუფთს ჰხელმძღვანელობენ ბულგარიის მილიციის მაიორი ბოლოვი და პორუჩიკი პეპენდოვი,

გაზეთის სიტყვით, სტამბოლისა და სოლუნის შემაერთებელ რკინის გზის ლიანდაგის გასწვრივ, ეკლესიის ალექსს წინამძღოლობით განიზნულ მაკედონელთ ოსმალთა ჯარები გარს ერტყმიან და სცდილობენ როგორმე ხელთ იგდონ. ალექსსამ ამ რამდენისამე დღის წინად ხანაშიბელეკის სადგურთან ტელეგრაფის მავთულები დასჭრა და მიჰმართა ხონთქარს დია წერილით, რომელიც ტელეგრაფის ბოძზედ გააკრა: „პირველ აპრილამდე,—სწერს ალექსა ხონთქარს,—გადრთვებთ; თუ მანამდე რეფორმებს სრულიად განახორციელებთ, ხომ დავწყნარდებით, თუ არა და უეჭველად ყველანი იარაღში ჩავჯდებით და ოსმალებს ღვთის რისხვას დავატეხთ თავზე. ჩვენც ისე შეუბრალებლივ მოვეპყრობით ოსმალებს, როგორც ისინი გვექცეოდნენ: მუსრს გავავლებთ დიდსა და პატარას, აგვნის პავშვებსაც დუგმა დუგმად ავკუწავთ, დედაკაცებს ვტანჯავთ და ვაწამებთ. ოსმალთა მიერ დანთხეული უმანკო სისხლი ცად დაღაღებს და სამაგიეროს თხოულობსო".

ალექსა შარშან ცონჩევმა მთებში დასტოვა; იგი განთქმულია საარაკო გამბედაობითა და სიმამაცით. ადგილობრივ ოსმალთა მთავრობას დიდი ხანია ალექსას ვაჟკაცობა ძილს უფრთხობს და მოსვენებას არ აძლევსო.

— კალონსა და კანინში დაბრუნებულან წარჩინებულნი ალბანელები, რომელნიც შარშან ერთვნულ აგიტაციის გამო გაგზავნეს აქედან დასასჯელად სახელმწიფოს სხვა-და-სხვა კუთხეში.

**სერბია**. ბელგრადის გაზ. „სლოგა" იწმუნება, იმ მეამბოხეთა შორის, რომელნიც თავს დაესხნენ მიტროვიცას, უმრავლესობა ქრისტეანი ალბანელები იყვნენო. იგინი თხოულობდნენ,—რუსეთის კონსული და ბაირაღი დაგვანებეთო, მაგრამ როცა ამაზედ უარი მიიღეს, ძალ-და-ძალ შეესიენ ქალაქსაო.

**ოსმალეთი**. სტამბოლიდგან ატყობინებენ გაზ „Fr. Z."-ს,—ოხრიდის ოლქში ნამდვილმა ამბოხებამ იჩინა თავი: რედიფებმა და ბაშიბუზუკებმა, რომელნიც ბულგარელ ჯუფთებს დაედევნენ, დებრიცის მახლობებზე ოხრიდის ტბის ჩრდილოეთით,—ორს სოფელს ალყა შემოარტყეს, რადგან ეგონათ, აქ შეაფარეს თავიო. მაგრამ ოსმალოს ჯარები თვით მოჰყვნენ ხაფანგს: მათ თავს დაესხნენ თორმეტის ახლობელ სოფლის თავით ფეხამდე შეიარაღებულნი მკვიდრნი, და გაცხარებული ბრძოლა ასტყდა. ორივ მხრივ მრავალი დაიხოცა და დაიჭრა. ამასობაში ჯუფთებმაც იღროვეს და თავს უშველეს.

— გაზ. „N. Fr. Pr"-ს კორესპონდენტს საუბარი ჰქონია ფლორინის (ბერძენთა) მიტროპოლიტ იოანნიკესთან ბერძენ-ბულგართა ურთიერთობის შესახებ და აი, რა უთქვამს ამ მწყემსთმთავარს:

„ბულგარელები—ადამიანნი-კი არა—მხეცები არიან! იგინი ოსმალთ უგიჟინებენ სისასტიკეს, გარნა თვით ისეთ ბოროტ-მოქმედობას სჩადიან, რომ კაცს ქოჩორი ყალყზედ უდგება, გარწმუნებთ, რომ იგინი ნამდვილი მხეცები არიან.

ათას წილად უმჯობესია სიკვდილი, ვიდრე ბულგართა ხელში ჩავარდნა. ამასთანავე მათი რისხვა ბერძენთა წინააღმდეგაა მიმართული, განსაკუთრებით, მათ მასწავლებელთა და სამღვდელოებისადმი. მაგ., მეუჩნდებიან რომელსამე გაჭირებულ მასწავლებელს, ან მღვდელს, მხარი დაგვიჭირე ოსმალთა წინააღმდეგაო, და თუ ვერ მიიბირეს, საშინლად სტანჯავენ, აწამებენ და ისე გამოასალმებენ წუთი-სოფელს. ასევე ეპყრობიან დედაკაცებსა და ბავშვსაც-კი. არავის არ ინდობენ ეს ქრისტიანთ სისხლის მწოვარნი ფატცხვერნი. სჩივიან,—ოსმალები სასტიკად გვეპყრობიანო, მაგრამ შედარებაც-კი არ შეიძლება ბარბაროს-ბულგართა და ოსმალთა შორის. ამ მხეცებმა ჯერჯერობით 46 კაცი გამოასალმეს წუთი-სოფელს; ერთი ამ უბედურთაგანი ისე იყო დასახიჩრებული, რომ ორმოცზე მეტი ჭრილობა ჰქონდა მარვილით. და ეს მტარვალნი კიდევ იმას ჰქადაგებენ, მაკედონია უნდა განვათავისუფლოთ ოსმალთა ბატონობისაგანაო! ზეცით უნდა მოევლინოს ცეცხლი და მთანთქას ეს ბიწიერებით აღსავსენი, ურწმუნონი, ქრისტეანობის დაუძინებელნი მტერნი!

ბევრად უმჯობესი იქნებოდა, ოსმალეთის მთავრობას ყველა სოფლებში დაერიგებინა იარაღი და სამხედრო სურსათი ერთგულ ქვეშევრდომთათვის, რომელნიც დროით მოუღებდნენ ბოლოს ბულგარელ ყაჩაღთა ბრბოებს. მთავრობას ჯილდო უნდა ჰქონდეს გადაწყვეტილი მათთვის, ვინც მოჰკლავს, ან ცოცხლად ჩაიგდებს ხელში რომელსამე ბულგარელ ავაზაკს; ან კიდევ, თუ მათთან შეტაკების დროს მოკლულ იქმნა, მის ოჯახს უნდა დაენიშნოს ჯამაგირი. ამ გვარად, ქვეყანა მალე დამშვიდდებოდა; ორი თვის განმავლობაში სრულიად მოისპობოდა სახსენებელიც კი მაკედონელთა კამიტეტებისა და მეამბოხეთა ბრბოებისა."

ჰკიაზრულობ კაცი ამ სიბრაზითა და კაცთ-მოძულეობით აღსავსე ამბავსა და ჰკვირვობ,—ნუ თუ სულიერი მამა, წარმომადგენელი სათნოებისა და ღმობიერებისა, მქადაგებელი ქრისტეს სიტყვისა ასე დააბრმავა ეროვნულ გრძნობათა ღელვამ, რომ აღარც-კი ეთაკილება ამ გვარ აზრების საქვეყნოდ წარმოთქმა.

## ნარკვევი

გაზ. „Русск. Вѣд."-ში საყურადღებო წერილია დასტამბული რუსეთის ხალხის ეკონომიურ გაჭირვების შესახებ.

უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მთელი რუსეთის გლეხობის შემოსავალი ათასი მილიონი მანეთით ნაკლები ყოფილა, ვიდრე წინად იყო. მიზეზი—მოუსავლობაა. რუსეთის მრეწველობაც დაქვეითებულია, მუშები გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან, და ამ საერთო გაჭირვების დროს სახელმწიფო გარდასახადები სულ უფრო და უფრო იზდება.

ყველაზე უფრო მძიმე ტვირთად აწვება დარიბ ხალხს კისერზე ეგრედ წოდებული არაპირდაპირი გარდასახადი. 1880 წ.—1901 წლამდე ეს გარდასახადები 393 მილიონ მანეთიდან 819 მილიონამდე ავიდა, ერთი ორად იმატა.

არა პირდაპირი გარდასახადი დაწესებულია პირველ სახმარებელ საგნებზედ, როგორცაა, მაგალითად—შაქარი, ჩაი, თამბაქო, ნავთი, სპიჩკა, არაყი, ტანსაცმელი. ყოველი ცოცხალი ადამიანი იძულებულია, იხადოს ეს გარდასახადი. იგი სავალდებულოა მისთვის, რადგან ზემო ჩამოთვლილი საგნები უპირველეს საჭიროებას შეადგენენ ყველასათვის. თითქმის ყველაფერზედ, რასაც ჩვენ ვყიდულობთ, ვიხდით სახელმწიფო გარდასახადს და ყველაზედ მეტს იხდის გლეხობა, რომელიც ხალხის უმრავლესობას შეადგენს.

ჩვენი გლეხობა ეკონომიურად მეტად შევიწროებულიაო, ამბობს გაზეთი, მისი მდგომარეობა ითხოვს არა-პირდაპირ გარდასახადთა შემცირებას. ეს მით უმეტეს არის საჭირო, რომ იმავე გლეხობას აწევსა კისერზე უმთავრესი ნაწილი ადგილ-მამულზე დაწესებულ პირდაპირ გარდასახადისა. კერძო მესაკუთრენი რუსეთში 20 მილიონ მან. იხდიან, გლეხთა საზოგადოებანი-კი 173 მილიონ მან. ზოგიერთ ადგილას გლეხების მიწების ერთ დესეტინას ერთი ათად უფრო მეტი გადასახადი აწევს, ვიდრე კერძო მესაკუთრეთა მიწას.

## წერილები რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

I

გთხოვთ ეს პატარა ცნობა დაგვიბეჭდოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ივერიაში:" 25 მარტს სცენის მოყვარულებმა გავმართეთ ქართული წარმოდგენა ავლაბრის (მურაჟკოს) თეატრში ჩვენის საყვარელის ავალმყოფ მსახიობის ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის სასარგებლოდ. შემოსავალი იყო 44 მ. და 50 კ. დაიხარჯა 19 მ. 50 კ. დანარჩენი 25 მ. გადავეცით ქართულ დრამატიულ კომიტეტს.

ბ. როსტომაშვილი, შ. ნათაძე, აბელიშვილი.

II

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ქვემო მოხსენებულ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემწეობა აღმოუჩინეს სწავლის გასაგრძობაში ბათუმის სავაჟო გიმნაზიის მოსწავლეს ს. მამ—მელს;

აი შემომწირველთა სია:

ნიკიფორე ქ. ხომერიკმა 2 მ.,—თავად. ნ. პ. ნაკაშიძემ 1 მ., ა. გოგიჯანოვმა 1 მ., ა. მაკარიანმა 1 მ., ე. ბერძენიშვილმა 1 მ., დ. გაბუნიამ 1 მ., დიმიტრიადიმ 1 მ., ა. ჩიკოვანმა 1 მ., გ. მ. ერქომაიშვილმა 1 მ., პარასკევამ 1 მ., კ. არობელიძემ 1 მ., გ. თოიძემ 1 მ., პ. კიკაჩეიშვილმა 1 მ., დ. მირიანაშვილმა 1 მ., ზ. ჯინჭარაძემ 1 მ., გ. კეკელიძემ 1 მ., თ. ბახტაძემ 1 მ., ბ. კილაძემ 1 მ. გ. თავართქილაძემ 1 მ., ქ. ხუჭუამ 1 მ. კ. მაჭარაძემ 1 მ., და დ. ა. შავი—ლმა 1 მ.,

ინკოლევიჩმა 50 კ., მ. კალანდარიშვილმა 50 კ., ი. გამსახურდიამ 50 კ., ნიკიფორიდიმ 50 კ., ლავინოპულო 50 კ., მ. ელიკი 50 კ., დ. ლონდიდიამ 50 კ., ეფრემოვმა 50 კ., დ. ხუნციამ 50 კ., ი. კოტუამ 50 კ., პაპანდოპულომ 50 კ., დ. ხომერიკმა 50 კ., ს. იმნაძემ 50 კ., ი. კახიანმა 50 კ., პარასკევოპულომ 50 კ., ბერტმან 50 კ. გარპოვსკიმ 50 კ., ა. კაპამაძიანმა 50 კ., ხაჩატურიანმა 50 კ., კ. მანტაშევმა 50 კ., ძმ. რაზმაძეებმა 50 კ., ექვთიმე ოზურგეთელმა 50 კ., კლიუკინმა 50 კ., ნ. ცეცხლაძემ 50 კ., ი. სიორიძემ 50 კ., შაბანინმა 50 კ., დ. რუხაძემ 50 კ., ნ. სიმონოვმა 50 კ., კრაშარენკო 50 კ., ბეგსტავაშვილმა 50 კ., პ. წაქაძემ 50 კ., ა. ა. გოლინმა 50 კ., ი. კაკაბაძემ 50 კ., დ. ბოლქვაძემ 50 კ., ნ. ტუსკიამ 50 კ., დ. გაგუამ 50 კ. ხუნციამ 50 კ.,

პაპისოვმა 30 კ., ვ. კაკაბაძემ 30 კ., არსენიშვილმა 30 კ., ბ. გრიგორიანცმა 30 კ., კუხალეიშვილმა და ბრუშტეინმა 30 კ.. მდინარაძემ 25 კ., ძმ. ჯიშკარიანებმა 25 კ., ისაევმა ი. და დ. სიმონოვმა 25 კ.,

ქ. ადამიამ 20 კ., სლოვნიკოვმა 20 კ., კუშენკოვმა 20 კ., გოლოვინმა 20 კ., იარალოვმა 20 კ., ვ. მეებროვმა 20 კ., ლემბერგმა 20 კ., რანგოსმა 20 კ., ძმათა ავანიანებმა 20 კ., როგოიანმა 20 კ.. კალდავაძემ 20 კ., აკობალეიშვილმა და ს. ქარცვაძემ 20 კ..

გ. მირიმანიშვილმა 15 კ., სალაძემ 15 კ., თავმაიშვილმა 15 კ.,

ვ. ებრალიძემ 10 კ, დიმიტრი ჩხაიძემ 10 კ. სულ ჯამი 46 მან. 5 კაპ.

დავით ანტონის ძე შავიშვილი.

## „ივერიის" ფოსტა:

**ბაქო პ. მ—ნს**. თქვენი „შენიშვნების შენიშვნა", არ დაიბეჭდება.

## დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

29 მარტს.

**მოსკოვი**. საიმპერატორო მატარებელი მოვიდა დილის 10 საათსა და 50 წ. უმაღლესის ბრძანებისამებრ მიგებება არ იყო ვოგზალზედ მათ უდიდებულესობათ დახვდნენ უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი, მეუღლითურთ და დიდის მთავრის პავლე ალექსანდრეს ძის შვილებით, დიდის მთავარის თანაშემწე და ქალაქისა და ადგილობრივი მოხელენი. ხელმწიფე იმპერატორი და დედოფალი წაბძანდნენ ივერიის ღვთისმშობლის სამლოცველოში, სადაც ყოვლად სამღვდელო პართენი მიეგება ჯვარით მათ უდიდებულესობათ. მათნი უდიდებულესობანი ემთხვივნენ სასწაულ-მომქმედს ხატს და შემდეგ გაემართნენ კრემლის სასახლისაკენ, „ურას" ალტაცებულის ძახილით გაცილებულნი.

**პარიჟი**. ალჟირის გუბერნატორი რევოალი სამსახურს დაეთხოვა.

**სტამბოლი**. რუსეთის საელჩოში გადახდილ იქმნა პანაშვიდი შჩერბინის სულის მოსახსენებლად. კვირას იქნება გადახდილი მიცვალებულის წირვა, დიპლომატიურის კორპუსის თანადასწრებით.

**გონკონგი**. კანტონის თოფხანის თოფის წამლის ქარხანაში ცეცხლმა იფეთქა. ათასზედ მეტი კაცი დაიღუპა.

**ბერლინი**. „კელნიშე ცეიტუნგს" კარლსრუედგან ატყობინებენ: აქაურს პატრონის ქარხანას ოსმალეთის მთავრობამ დიდი სამუშაო მისცა.

**სტამბოლი**. კრალევის ოლქში (უსკიუბის ვილაიეტშია) ბულგართა ჯუფთი გაჩნდა. სერესის სანჯაყში დათარეშობს ჯუფთი, რომელიც 80 კაცისაგან შესდგება. ნევრაკოპის ოლქში მყოფი ჯუფთი 30 კაცისაგან შესდგება.

**სოფია**. მაკედონიაში ახალი ჯუფთი გაჩნდა.

**პარიჟი**. რევოალის სამსახურიდგან გადადგომა ვერ შეაფერხებს ლუბეს მოგზაურობას. მის მაგიერობას მთავარი მდივანი ვარნიე გასწევს დროებით. ახალი გუბერნატორი პრეზიდენტის მოგზაურობის შემდეგ დაინიშნება.

30 მარტი

**სან-დომინგო**. საკონსულოს დასაცავად გერმანიის ნაღმიანი გემი „ვინეტა" და იტალიის გემი მოვიდა; ჯარი ნაპირად გადასხეს. ინგლისისა და ჰოლლანდიის სამხედრო გემებსაც მიელიან; ქალაქი მეტად საშიშ მდგომარეობაშია.

**ჰააგა**. პირველ პალატას მიუღია კანონპროექტი გაფიცვის წინააღმდეგ.

**ნიუ-იორკი**. ვილემსტადტიდგან მოსული დეპეშა იუწყება,—მთავრობის ჯარებმა კარაკასთან დაამარცხეს მეამბოხენი, წაართვეს ორი ზარბაზანი, აიღეს ქალაქი ბარკიზიმეტო და მრავალი ტყვე ჩაიგდეს ხელში.

**ათინა**. დილით მობძანდა გერმანიის მემკვიდრე პრინცი ფრიდრიხ-ვილჰელმი, რომელსაც მიეგებნენ მეფე, ბატონიშვილი ნიკოლოოზი, გარეშე საქმეთა მინისტრი და გერმანიის ელჩი. პირველ საათზე შინაურულ საუზმეზედ მიიწვიეს.

**სოფია**. სამხედრო მინისტრი კიუსტენდილს გაემგზავრა, საზღვარზედ მდგომ ჯარების დასათვალიერებლად. განკარგულება მოახდინეს ზოგიერთი საზღვრები კიდევ უფრო გაამაგრონ. კრება ორშაბათს დასრულდება.

**ბელგრადი**. დღეს საკრებულო ტაძარში შჩერბინის სულის მოსახსენებლად გარდახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ მეფის წარმომადგენელი, ყველა მინისტრები, გენერლები, რუსეთისა და ავსტრია უნგრეთის დესპანნი, საელჩოს წევრებითა და დიდძალი ხალხი. მღვდელ-მსახურებას ასრულებდა მიტროპოლიტი ინნოკენტი, რომელმაც სიტყვა წარმოსთქვა და განმარტა, თუ რა ღვაწლი

დასდო განსვენებულმა სერბთა საქმეს. წირვის დროს მაღაზიები დაკეტილი იყო და ქალაქი სამგლოვიაროდ მორთული.

**სტამბოლი.** მთავარი ინსპექტორი ჰილმი-ფაშა იუწყება,—ის ამბავი, ვითომ ალბანელები თავს იყრიან მიტროვიცის ასაკლებადაო, ყოველ სიმართლეს მოკლებულიაო. იმ შემთხვევისათვის, თუ საჭირო შეიქნა ალბანელების დათრგუნვა, მზადაა 20 ბატალიონი ვერსიოვიჩსა, 8—იპეკსა და 8—მიტროვიცაშიო. ბულგარიიდგან შემოსხია მალეტოვის სერებს ჯუფთი 100 კაცამდე და შემდეგ სერბიის სანჯაყისაკენ გაემართნენ.

ჰილმი-ფაშა აცხადებს,—ოხრიდის ოლქში მომხდარი ამბავი მეტად გაზვიადებულიაო. დანამდვილებით შევიტყეთ, რომ ჯუფთის წინამძღოლი დავიდოვი მოკლულ იქმნაო.

**პეტერბურგი.** „მთავრ. უწყებათა“ № 72-ში გამოქვეყნებულია დაწვრილებითი ცნობა პეტერბურგის დედათა საექიმო ინტიტუტსა და უნივერსიტეტში მომხდარ არეულობათა შესახებ.

31 მარტი.

**მოსკოვი.** მოხდა უმაღლესი გამობრძანება მიძინების საკრებულო ტაძარში. უმაღლესი გამობრძანება დაიწყო დილის 10-ნახევარ საათზედ; სასახლის კარის მოხელეთ მოსდევდნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი, დიდის მთავრინათი ოლგა ნიკოლოოზის ასულით, მერე დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს ძე, დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული და შვილნი დიდის მთავრისა პავლე ალექსანდრეს ძისა. მათი უდიდებულესობანი, მიუახლოვდნენ-რა ქალაქის წარმომადგენელთ, მოისმინეს სალამი ქალაქის თავისა, რომელმაც მიართვა პურ მარილი. მშვენიერ ლაკნით. მიიღეს-რა პურ-მარილი სხვა საზოგადოებათაგან, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი გაბრძანდნენ „კრასნოე კრილო“-ზედ და ხალხის აღტაცებულ „ურას“ ძახილით გაცილებულნი, მიბრძანდნენ მიძინების ტაძარში, სადაც მათ მიეგებათ მიტროპოლიტი მოსკოვისა, რომელმაც წარმოსთქვა სიტყვა. მოისმინეს-რა წირვა, მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი ემთხვივნენ წმიდა ნაწილებს, მერე ბრძანდებოდნენ „ჩუდოვ“ ის მონასტერში და შემდეგ წაბრძანდნენ დიდ კრემლის სასახლეში.

**ბლაგოვეშჩენსკი.** ხმარობენ ღონისძიებას, რათა ხოლერა არ იქმნეს შემოტანილი. ქალაქს და მის ახლო მიდამოებს ასუფთავებენ. ამინდი ცხელია.

**ლონდონი.** გამოქვეყნებულ წლიურ ანგარიშში ლორდ კრომერი აცხადებს,—სუაკიმ-ბერბერის რკინის გზის გაყვანა აუცილებლად საჭიროა სუდანის ასაღორძინებლად; პირიქით, სუდანიდგან უგანდასა და იქიდგან აბაშეთზე რკინის გზის გაყვანის აუცილებლობა ჯერ არაა დამტკიცებულიო.

**ბერლინი.** როგორც „Fr. Z.“-ს ატყობინებენ სოფიიდგან, მთავრობა გულმოდგინედ შეუდგა საზღვრების გამაგრებასაო. მოსალოდნელია, კიდევ მოჭკრიბონ ჯარებიო.

**ბუქარესტი.** პრინც კარლოსს წითელა შეეყარა.

**სტამბოლი.** სულთანმა, პორტამ და დიპლომატიურმა კორპუსმა რუსის ელჩს გამოუცხადეს სამძიმარი კონსულ შჩერბინას გარდაცვალების გამო.

**მოსკოვი.** 30-ს მარტს ქალაქის თავის სადამზედ ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი ბძანა:

„იმპერატრიცა და მე ულრმესად გმადლობთ თქვენ მიერ გამოთქმულ გრძნობათა და გულითად მიღებისათვის. ჩვენ ბედნიერნი ვართ მით, რომ ვნების კვირას და აღდგომის დღესასწაულებს გავატარებთ ჩვენთვის ძვირფასს მოსკოვში. კვლავ კიდევ გმადლობთ, ბატონებო, გულითად დახვედრისა და პურმარილისათვის“.

**პეტერბურგის ბირჟა, 28 მარტს.**

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . . | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში . . . . . | 46,00 |
| პარიჟში 100 ფრანკში . . . . . . | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . . . | 94,95 |
| ბერლინში ,, . . . . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . . . . | — |
| ბირჟის დისკონტი . . . . . . . | 5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . . . | 98¼ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . . | 101 მყიდ. |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა . . . | 95⅜ მყიდ. |
| 5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. . . . . . . | 437¼ გაყ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . . . . | 335½ წვ. გაყ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | 297 წვ. გაყ. |
| % ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. . . . . . | — |
| 5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა. . . . . . . | — |
| 6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა | — |
| პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ. | — |
| აქციები ,, ,, ,, ,, | — |
| ,,კასპიის ამხანაგობისა. | — |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. | 340 გაყ. |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. . . | 201 წვ გაყ. |

**მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა**

**15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.**

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

**ა) ტფილისიდან მიდის:**

**ბათუმს:**—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ბაქოს:**—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

**ყარსს:**—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

**მიხაილოვისა და ბორჯომს:**—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

**ბ) ბათუმიდან გამოდის:**

**ბაქო-ტფილისისაკენ:**—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

**შორაპნამდე:**—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

**გ) ბაქოდგან გამოდის:**

**ტფილის ბათუმისაკენ:** —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

**დ) ქუთაისიდგან გამოდის:**

**ბაქო ტფილისისაკენ:**—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

**ბათუმისაკენ:** 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

**შორაპნისაკენ:**—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

**ე) ფოთიდგან გამოდის:**

**რიონ-ქუთაისამდე:**—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

**სამტრედია-ბათუმამდე:**—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

**სამტრედია-ბაქომდე:**— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ.).

# განცხადება

## სია

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა, რომელთაც უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ თავად-აზნაურთა კრებაზედ.

### I

თავად-აზნაურნი, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საქმეთა განხილვაში და არჩევანში.

ა) პირადათ.

1, სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლის თან.აღმასრ. მილიციის პრაპორშჩიკი თავ. მიხეილ რევაზის ძე ვაჩნაძე.

2, ყოფილი თავად-აზნაურთა წინამძღოლი თელავის მაზრისა თავ. დიმიტრი ერასტის ძე ჩოლოყაშვილი.

გენერალ-მაიორნი:

3, თავ. დავით თამაზის ძე ვაჩნაძე.

4, თავ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე.

5, დიმიტრი დიმიტრის ძე ნაცვლიშვილი.

სტატსკი სოვეტნიკები:

6, თავ. ივანე დიმიტრის ძე ანდრონიკაშვილი.

7, სასახლის კამერ-იუნკერი მის იმპერატორებითი უმაღლესობისა თავ. ივანე რომანოზის ძე ანდრონიკაშვილი.

8, თავ. ნიკოლოოზ დავითის ძე ანდრონიკაშვილი.

პოლკოვნიკები:

9, თავ. აბრამ იაგორის ძე ვაჩნაძე.

10, თავ. სპირიდონ ნიკოლოოზის ძე ანდრონიკაშვილი.

11, სვიმონ სვიმონის ძე ვაჩნაძე.

კოლლეჟსკი სოვეტნიკები:

12, თავ. იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი.

13, ალექსანდრე ნიკოლოოზის ძე ვაჩნაძე.

14, ლევან დიმიტრის ძე ანდრონიკაშვილი.

15, ალექსანდრე დიმიტრის ძე აბხაზი.

16, თავ. ივანე დიმიტრის ძე აფხაზი.

პოდპოლკოვნიკები:

17, თავ. ლევან თამაზის ძე ვაჩნაძე.

18, თავ. არჩილ იოსების ძე ვაჩნაძე.

19, თავ. ლევან ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე.

20, თავ. მიხეილ ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე.

21, ალექსანდრე ივანეს ძე ვაჩნაძე.

22, ვლადიმერ დავითის ძე ვაჩნაძე.

23, შტატ-გარეშე მყოფი მაიორი ნიკოლოოზ ზაქარიას ძე ვაჩნაძე.

ნადვორნი სოვეტნიკები:

24, თავ. ლევან გიორგის ძე ვაჩნაძე.

25, დავით ყარამანის ძე ნაცვლიშვილი.

კაპიტნები:

26, თავ. სვიმონ რევაზის ძე ვაჩნაძე.

27, თავ. იასე კოსტანტინეს ძე ვაჩნაძე.

28, თავ. დავით მიხეილის ძე ვაჩნაძე.

29, თავ. ალექსანდრე რევაზის ძე ვაჩნაძე.

30, თავ. კოსტანტინე ივანეს ძე ვაჩნაძე.

31, თავ. გიორგი სვიმონის ძე ანდრონიკაშვილი.

ტიტულიარნი სოვეტნიკები:

32, თავ. ლევან ზაალის ძე ვაჩნაძე.

33, თავ. დიმიტრი ზაალის ძე ვაჩნაძე.

34, თავ. ივანე იოსების ძე ვაჩნაძე.

შტაბს-როტმისტრი:

35, თავ. დავით ილიას ძე აფხაზი.

შტაბს-კაპიტანი:

36, თავ. ალექსანდრე სვიმონის ძე ანდრონიკაშვილი.

კოლეჟსკი სეკრეტრები:

37, თავ. ივანე ასლანის ძე ვაჩნაძე.

38, ივანე გიორგის ძე ჯორჯაძე.

39 თავ. ალექსანდრე ლევანის ძე ჯორჯაძე.

პორუჩიკნი:

40, თავ. სვიმონ ისიდორეს ძე ჩერქეზიშვილი.

41, თავ.გიორგი ალექსანდრეს ძე ანდრონიკაშვილი.

42, თავ. ალექსანდრე გიორგის ძე ვაჩნაძე.

მილიციის პორუჩიკები:

43, თავ. სვიმონ დავითის ძე ანდრონიკაშვილი.

44, თავ. სოლომონ დიმიტრის ძე ვაჩნაძე.

45, თავ. კონსტანტინე ნიკოლოოზის ძე ვაჩნაძე.

46, თავ. კონსტანტინე ლუარსაბის ძე ვაჩნაძე.

გუბერნსკი სეკრეტრები:

47, თავ. ზაქარია გიორგის ძე ანდრონიკაშვილი.

მილიციის პრაპორშჩიკები:

48, თავ. ზაქარია იასეს ძე ანდრონიკაშვილი.

49, თავ. ია თონიკეს ძე ანდრონიკაშვილი.

50, თავ. ლევან აბელის ძე ანდრონიკაშვილი.

51, თავ. ივანე ილიას ძე აფხაზი.

52, თავ.ლევან ილიას ძე აფხაზი.

53, თავ. რევაზ გიორგის ძე ვაჩნაძე.

54, თავ. სოლომონ ლუარსაბის ძე ვაჩნაძე.

კოლეჟსკი რეგისტრატორები:

55, თავ. გიორგი დავითის ძე ვაჩნაძე.

56, თავ. ნიკოლოოზ ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე.

57, თავ. ივანე რევაზის ძე ვაჩნაძე.

58, თავადი ივანე გრიგოლის ძე ვაჩნაძე.

საშუალო და მაღალ სასწავლებლებში კურსდასრულებულები:

59, თავადი იოსებ რევაზის ძე ვაჩნაძე.

60, თავადი ქაიხოსრო ალექსანდრეს ძე ვაჩნაძე.

61, თავ. იასონ რევაზის ძე ვაჩნაძე.

62, თავადი მიხელ სიმონის ძე ანდრონიკაშვილი.

წმ. სტანისლავის 3-ე ხარისხის კავალერიის ორდენიანები:

63, თავ. ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერი.

ბ, რწმუნებულთა შემწეობით:

1, კნეინა ნადეჟდა დიმიტრის ასული ანდრონიკაშვილისა.

2, კნეინა მარიამ ალექსანდრეს ასული ვაჩნაძისა.

3, კნეინა ანასტასია ივანეს ასული ვაჩნაძისა.

4, კნეინა ნინო ივანეს ასული ვაჩნაძისა.

5, კნეინა ნინო სოლომონის ასული ანდრონიკაშვილისა.

6, კნეინა თამარ ივანეს ასული აბაშიძისა.

7, კნეინა ელისაბედ ქაიხოსროს ასული ვაჩნაძისა.

### II

თავად-აზნაურნი, რომელთაც უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა მხოლოდ საქმეთა განხილვაში.

1, პოლკოვნიკი გიორგი მალაქიას ძე ნაცვლიშვილი.

2, როტმისტრი იასე აბრამის ძე ნაცვლიშვილი.

3, კაპიტანი თავადი კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზი.

4, შტაბს-კაპიტანი ზაქარია ლუარსაბის ძე ბოსტაევი.

5, შტაბს-კაპიტანი ბესარიონ სოლომონის ნის ძე ზალდასტანიშვილი.

6, პორუჩიკი ნიკოლოზ იოსების ძე ნაცვლიშვილი.

7, ნადვორნი სოვეტნიკი პეტრე ბარამის ძე ნაცვლიშვილი.

8, ნადვორნი სოვეტნიკი მიხეილ ალექსანდრეს ძე ნასიძე.

9, პრაპორჩიკი თავადი რაჟდენ ალექსანდრეს ძე ჯანდიერი.

10, ნადვორნი სოვეტნიკი იაგორ მიხეილის ძე გომელაური.

11, კოლეჟსკი სეკრეტარი სვიმონ ლუარსაბის ძე ნაცვლიშვილი.

12, გუბერნიის სეკრეტარი მიხეილ დიმიტრის ძე ნასიძე.

13, პრაპორჩიკი მილიციისა სვიმონ ლუარსაბის ძე გომელაური.

14, პრაპორჩიკი მილიციისა დავით ლუარსაბის ძე გომელაური.

15, პრაპორჩიკი მილიციისა ივანე ნოდარის ძე გომელაური.

16, პრაპორჩიკი მილიციისა თადეოზ დავითის ძე ნაცვლიშვილი.

17, პრაპორჩიკი მილიციისა რომანოზ იოსების ძე ნაცვლიშვილი.

18, კოლეჟსკი რეგისტრატორი იობ რომანოზის ძე ნაცვლიშვილი.

19, კოლეჟსკი სეკრეტარი თავადი ნოდარ მიხეილის ძე ჯორჯაძე.

20, ნადვორნი სოვეტნიკი მიხეილ სოლომონის ძე თავადი ჩოლოყაშვილი.


ქუთაისში

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.


**ზედამხედველი კომიტეტი ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკისა** ამით აუწყებს ბატონთ რწმუნებულთა ამა ბანკისას, რომ, წესდების 91 § ძალით, ბანკის შენობაში 1903 წლის 30 აპრილს დანიშნულია მორიგი კრება.

**განსახილველია შემდეგი საგნები:**

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1902 წელს,საპერაციო წელიწადის მოხსენებითურთ.

2) მოხსენება სასამართლოებში ბანკის საქმეების მდგომარეობისა.

4) მოხსენება ბანკზე დარჩენილი მამულების შესახებ.

4) მოხსენება შესანახ კასაზე ბანკის მოსამსახურეთათვის.

5) მოხსენება იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც შენიშნულია ბანკის რწმუნებულთა კრებაზე 1902 წლის აპრილის 26.

6) მოხსენება იმის შესახებ, რომ დამფასებელ კომისიას მიემატოს კიდევ ორი წევრი.

7) მოხსენება იმის შესახებ, რომ ბანკმა გაავრცელოს თვისი მოქმედება ჩერნომორსკის გუბერნიაში და

8) ბანკის გასავლის ანგარიში 1903 წ.

ამას გარდა, რწმუნებულთა კრებამ უნდა ამოირჩიოს ბანკში მოსამსახურენი,მათ მაგიერ, რომელთაც ვადა უთავდებათ მაგალითად: ყველა ზედამხედველ კომიტეტის წევრთ, მმართველობის თავმჯდომარე თ. ი. გ. ჭავჭავაძეს, სამს დამფასებელ წევრს, ამათში ერთს კ. ლ. ფურცელაძეს სამსახურის ვადა უთავდება და ორიც ახალი, დამფასებელ კომისიის მისამატებელი წევრი და ორიც მათი კანდიდატი.

შენიშვნა: რწმუნებულთა კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

(3—6—3)

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ, გარდა გამოცხადებულის აგენტებისა (ივ. № 31), რომელნიც არჩეულ იქმნენ აგენტებად 1902 წელს, საზოგადოების აგენტებად ითვლებიან შემდეგი პირები, რომლებიც არჩეულნი არიან წინად:

1, თ. კირილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე . . . ქუთაისში,
2, სილოვან თომას ძე ხუნდაძე „
3, თომა აბრამის ძე მთავრიშვილი. „
4, სამსონ გიორგის ძე ყიფიანი. „
5, თ. ბეჟან დავითის ძე წერეთელი. საჩხერეში.
6, თ. ქაიხოსრო გელოვანი ლეჩხუმში,
7, ბესარიონ ჭელიძე ზუგდიდში,
8, ზაქარია იოელის ძე ნაცვლიშვილი სიღნაღში,
9, ნიკოლოზ ლევანის ძე აბაზაძე. ბორჯომში,
10, ელენე ალექსანდრეს ასული აბულაძისა . . . განჯაში,
11, აბელ იაშვილი . . . დუშეთში,
12, მიხეილ მოსეს ძე მღვდლიშვილი . . . ცაგერში,
13, ირაკლი ლუკას ძე ბაქრაძე ყარსში.


სეტყვის ამაცდენელი ზარბაზანი (მორტირა)

კელენის სისტემისა

„იდეალ“

სახალხთაშორისო კონგრესზე ლიონში **უმაღლესი საჩუქარი** მიუღია. მკვიდრად გაკეთებულია და ხმარებაც **სულ უშიშრად** შეიძლება. სრულიად რუსეთისათვის ერთად-ერთი წარმომადგენელია **პეტრე ყიფიანი** ტფილისში, ოლგინის ქუჩა, სახლი მაკაროვისა. **ტელეფონი** 150. ზარბაზნების საწყობი სარაჯევის სახლშია წყნეთის ქუჩაზე.

(12—6.—11)


**ქართულ დრამატიულ საზოგადოების**

გამგეობა აცხადებს, რომ ჰნიშნავს

**სამს პრემიას**

**300** მან., **200** მან. და **100** მან.

ქართული დრამატიული ნაწარმოების დასაჯილდოვებლად.

**პრემიის პირობა შემდეგია:**

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზედ დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (5—უ—4)

Дозволено цензурою. Тифлисъ. 31 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.